ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

ფრაქცია“ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“

თავმჯდომარის შოთა გოგიბერიძის ანგარიში 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის საკრებულოს12 სხდომისა და 3 რიგგარეშე სხდომის საქმიანობაში. გარდა ამისა ოზურგეთის საკრებულოს 14 ბიუროს სხდომის აქტიური მონაწილე ვიყავი,ხოლო,რაც შეეხება იურიდიული საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომებს მათში ვიღებდი ასევე აქტიურ მონაწილეობას.

გარდა ზემოთაღნიშნულისა,ჩავატარეთ ფრაქციის “ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“8 სხდომა, რომელთა ოქმებიც გაფორმებულია ჩვენი საკრებულოს რეგლამენტისა და საჯარო სამსახურში საქმის წარმოების წესების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ ინიცირებული იქნა,რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი.კერძოდ:

1. ა.ი.ა. ოზურგეთის“ სერვისცენტრის“ კომუნალური სამსახურისა და დასუფთავების სამსახურის მუშებისათვის სახელფასო ანაზღაურების 20%-ანი ზრდის შესახებ.
2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებისათვის სახელფასო ანაზღაურების 25%-ანი გაზრდის შესახებ
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ე.წ.სოციალური საწარმოების შექმნის პრაქტიკისდანერგვის შესახებ
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩაის კულტურის აგრარულ მეურნეობაში დარგვა-განაშენიანების პოპულარიზაციისათვის სპეციალური სააგიტაციო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისა და ჩაის სანერგე მეურნეობის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ
5. ოზურგეთიასა და ზოგადად გურიის რეგიონის თვალწარმტაცი და ღირშესანიშნავი ისტორიული ძეგლებისა და ბუნების ულამაზესი ადგილების პოპულარიზაციისა და ქვეყნის ტურისტულ რუკაზე მათი მკვეთრი დაფიქსირების შესახებ
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური ვითარების გაუარესების ფონზე (მდინარეებიდან ინერტიული მასალების უკანონო ამოღება,მდინარეთა ხეობებისა და კალაპოტების დაწევა, წყლის არტერიული მარაგების კლება) ამგვარ სამეწარმეო საქმიანობისა და ჩვენს მდინარეებზე ჰესების მშენებლობის პერსპექტივაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების აუცილებლობა და მათი აზრის უპირობო გათვალისწინების შესახებ.მთავრობის ინფორმირება- მეწყერსაშიში ზონების გაფართოების კვალობაზე პრევენციულ ღონისძიებათა შესახებ და სხვა.
7. ოზურგეთის განაშენიანების შემუშავების პროცესში,ე.წ. რეკრეაციული ზონების მკვეთრად გამოყოფა და მათი მუნიციპალურ საკუთრებაში დაფიქსირება,როგორც ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრის მქონე ტერიტორიებისა.